№ 121

პარასკევი, 20 ივნისი 1897 წ.

** გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 121

პარასკევი, 20 ივნისი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართოთ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## კბილის ექიმი
## ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოოზის ქუჩა, 21 („ივერიის“ რედაქციის ქვეშ).

საზაფხულო თეატრს „ერმიტაჟ“-ში პარასკევს, 20 ივნისს, ქართულ თეატრის არტისტებისაგან, სცენის მოყვარეთა დახმარებით, წარმოდგენილი იქნება

## ქოროღლი

ტრაგედია 4 მოქმედ., თხზ. ანტონოვისა. დასასრულ „ლეკური“.

ადგილების ფასი დაკლებულია. ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და „საზანდარი“.

დასაწყისი საღამოს 7 ½ წარმოდგენისა 9 საათზედ.

(1—უ.—1)

### მთავრობის განკარგულებანი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწერილობა გუბერნატორების მიმართ.**

(13 მაისი 1897 წ. № 4190).

მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების გასაადვილებლად და მათის ერთგვარად და უკეთესად მოქმედებისათვის სამეურნეო დეპარტამენტმა მომხმარებელ საზოგადოებათათვის შემდეგი ნორმალური წესდება შეიმუშავა და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა დასამტკიცებლად.

დაამტკიცა რა ხსენებული წესდება მისმა მაღალ-აღმატებულებამ ბ-ნმა მინისტრმა შესაძლოდ სცნო გუბერნატორებს მიანდოს: ა) ხსენებულის წესდების მიხედვით მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება; ბ) მომხმარებელ საზოგადოებათა უკვე მომქმედ წესდებათა ნორმალურს წესდებაზედ შეცვლა, რისთვისაც ხსენებულ საზოგადოებათ შუამდგომლობა უნდა გასწიონ ხოლმე, რომ: 1) ყოველს კერძო შემთხვევაში ახალი მომხმარებელი საზოგადოება დაარსდება, თუ ძველი მოქმედი წესდება იქმნება ახალს ნორმალურზედ შეცვლილი, საგუბერნიო მმართველობამ თავისს დროზედ აცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს როგორც სახელი ახალის საზოგადოებისა, ისე დრო მისის დაარსებისა და მოქმედებისა და 2) მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალურ წესდების შეცვლა შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-დაურთველად არავის შეუძლიან და ამისათვის ყოველთვის მას უნდა მიჰმართონ ხოლმე.

გაცნობებთ-რა, თქვენო აღმატებულებავ, ჟეროვანის განკარგულებისათვის, სამეურნეო დეპარტამენტს აქვს პატივი ამასთანავე, მოწყალეო ხელმწიფეო, წარმოგიგზავნოთ 13 მაისს 1897 წ. დამტკიცებულის მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალურ წესდების ერთი ეგზემპლიარი *).

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(საზოგადო კრებებზედ საზოგადოების ყველა წევრთა დასწრებით).

(დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან 13 მაისს 1897 წ.)

*) ხსენებული წესდება ორ ვარიანტად იბეჭდება: 1) საზოგადოების ყველა წევრთა საზოგადო კრებებზედ დასწრებით ხოლო 2) საზოგადო კრებათა წარმომადგენელებით შეცვლის შემთხვევისათვის.

საზოგადოების აზრი, უფლებანი და მოვალეობანი.

§ 1. მომხმარებელს საზოგადოებას, რომელიც (აქა და აქ) არსდება, აზრადა აქვს თავისს წევრებს, რაც შეიძლება, იაფ და ზომიერ ფასად მოუპოვოს სხვა-და-სხვა სახმარებელი და საოჯახო საგნები და წევრებს საზოგადოების ოპერაციების მოგებიდგან რაიმე შეჰმატოს, ფულით იქნება თუ ქონებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჟეროვანის ნება-რთვითა და მომქმედ დადგენილებათა მიხედვით, საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნებიან დაწესებულებანი, რომელთაც აზრად ექმნებათ სხვა-და-სხვა საშუალებით საზოგადოების წევრთა ნივთიერი და ზნეობრივი მდგომარეობა გააუმჯობესონ.

§ 2, თანახმად § 1-ში მოხსენებულის აზრისა, საზოგადოებას ნება ეძლევა:

ა) სხვა-და-სხვა სახმარებელ და საოჯახო საგნების მოსამზადებლად, შესანახად და გასასყიდად იქონიოს თავისი საკუთარი საწყობები და სახელოსნოები, ან-და იჯარით აიღოს ხოლმე იგინი;

ბ) გარეშე პირთ და დაწესებულებათ პირობით შეეკრას ხოლმე, რომ საზოგადოებისათვის საჭირო სახმარებელი და საოჯახო საგნები ამათ აძლიონ, აგრეთვე ფულიც, როდესაც იგი საზოგადოების საქმეთათვის საჭირო იქნება;

გ) საზოგადოების საჭიროებისათვის უძრავი ქონება შეიძინოს საკუთრებად

და დ) ჟეროვანის ნება-რთვით, საზოგადოების აზრისა და დანიშნულების შესასრულებლად სხვა წარმოებასაც მიჰმართოს.

§ 3. საქონელსა და სახმარებელ საგნებს საზოგადოების წევრნი ნაღდ ფულად ჰყიდულობენ, ან ნისიადაც ეძლევათ, რომლის პირობებსაც საზოგადო კრება გარდასწყვეტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხსენებულ §-ში აღნიშნულ საგანთა გასყიდვა გარეშე ხალხზედაც შეიძლება, მხოლოდ ნაღდ ფულზედ და იმ პირობებით, რომლებსაც საზოგადო კრება შეიმუშავებს.

§ 4. საზოგადოება, მისი სახელოსნოები, კანტორები და აგენტები გილდის გარდასახადისა, ვაჭრობის ნებართვის აღებისა, საბაჟო გარდასახადისა, გერბისა და სხ. საზოგადო და ადგილობრივ ხარჯის გაღებაში ამ საგნის შესახებ საზოგადო დადგენილებათ და წესებს ემორჩილებიან, რომლებიც მთელს იმპერიაში ჰმოქმედებენ დღეს, ან რომლებიც დღეის შემდეგ იქნებიან გამოცემულნი.

§ 5. საზოგადოებას თავისი ბეჭედი აქვს, რომელზედაც მისი სახელია ამოჭრილი.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

—

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ 18 ივნისს ბ-ნი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი დანიშნა. გამგეობამ დაადგინა ამასთან დღემდის ინსპექტორად ნამყოფს სიმონ ბესარიონის ძე ლოლობერიძეს მადლობა გამოეცხადოს ორის წლის სამსახურისათვის.

*** წრეულ ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ორმა ქართველმა დაამთავრა სწავლა: ნ. ქ. ხუცაიძემა და გ. გამრეკელმა. მთელს აკადემიაში ამ წელს სულ 4 ქართველი იყო.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან განჯის ახალი გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კირეევი, და სამშაბათს, 17 ივნისს, კავკასიის მთავარმართებელს გამოეცხადა.

*** გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში თავისუფალ მეომართა შორის ორი ქართველიცა ყოფილა: ე. შევარნაძე და ციკლიძე.

*** მომავალს 1898 წ. კავკასიაში ოთხი ახალი სახაზინო პალატა იქმნება დაარსებული: განჯისა, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებსა და ყუბანის ოლქში.

*** კავკასიაში ქსოვის საქმის გასაუმჯობესებლად სამეურნეო სამინისტროს ამ საქმის კარგად მცოდნე ბ-ნი მერჟეევსკი გამოუგზავნია, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს, რა საჭირო საშუალება უნდა მიიღოს საქმის წინ წასაწევად. ბ-ნი მერჟეევსკი ტფილისში ჩამოვა და მერე აქედამ ქუთაისს წავა.

*** სახელმწიფო საბჭოს წევრი სტატს-სეკრეტარი დეისტ. სტატ. სოვეტნ. ა. პ. ბარონი ნიკოლაი თავისის ქალის, ტფილისის გუბერნატორის თავადის შერვაშიძის მეუღლითურთ, კნ. მ. ა. შერვაშიძისათი, თავისს საკუთარს მამულს დაბა ბეთანში წავიდა.

*** მომავალს 1898 წლიდგან ქალაქის მკვიდრთა გამგეობა ტფი·

## ფელეტონი

—

**„არ მომკვდარვარ!..“**

ეტიუდი

(შემდეგი *)

### IV

ისევ ის ძველებური გრძელი, გადაკოინდრებული მუხა - ცაცხვიანი ეზო, ისევ ის ძველებური ორ-სართულიანი „პალატიანი“ დიდი ოდა თვალში მომხვდა, შევედი თუ არა მაროს მამის ეზოში, და გულს რაღამაც რეჩხი უყო. გრძელს აივანზედ მაშინვე შევამჩნიე მაროს მომღიმარე სახე და მაროს მამა, იქვე სკამ-ლოგინზედ მჯდომარე თეთრის გრძელის ულვაშებითა და პირში ჩიბუხით. ჩვეულებისამებრ, კვლავ ძველებურად, შუა ეზომდის შემომეგებნენ „შინაყმები“, ცხენი ჩამომართვეს და მომესალმნენ. გავწიე კიბისაკენ, მაგრამ ვატყობდი თავს, რომ რაღაც უხერხულად მივადგამდი ფეხს, ვამჩნევდი, რომ რომელიმე ნაწილი სახისა, ან საქციელი მიღალატებდა, გამცემდა და თავს ძალი დავატანე, უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიხმარე, რომ ჩემი აღელვება არავის შეემჩნია...

ყველა ჩვეულებრივად მომეგება, ისე როგორც ეგებებიან ხოლმე ძლიერს მახლობელს წევრს ოჯახისას. არაფერი „ოფიციალური“, არაფერი გადამჭიჭული არ ემჩნეოდა არავის საქციელში და ყველას თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს ჩემსა და მაროს შუა, თითქოს მათ არც-კი ნდომებოდეთ ჩემი „დამოყვრება“, თითქოს გასაკვირი აქ არა იყოს-რა, რომ მე მაროს ნიშნობას ვესწრები და მის სხვასთან ბედნიერებას ჩემის თვალით უნდა ვუყურო... მივხვდი, რომ ისინი მართალნი იყვნენ. აქ მართლაც-და არაფერი არ იყო საკვირველი, ყველაფერი ჩვეულებრივად, თავის რიგზედ ხდებოდა, მხოლოდ ჩემს ატაცებულს გონებას ესხვაფერებოდა ყოველივე, მხოლოდ მე მეჩვენებოდა სხვანაირად.

აივანზედ სხვა ახლო მეზობლებიც დამხვდნენ ამ შემთხვევისათვის მოსულნი და ცოტა ხანს იმათთან ლაპარაკს ვითომ გავერთე. მაგრამ ლაპარაკი მალე შეწყდა, რადგან მისი შინაარსი მხოლოდ ჩვეულებრივის ერთი მეორის მოკითხვისაგან შესდგებოდა და კიდევ იმ გაკვირვებისაგან, რომ მე ამდენი ხნის აქ უმყოფობაში ისე დავაჟკაცებულვარ, დავმოწიფებულვარ... ლაპარაკის შეწყვეტისათანავე თვალი უნებურად მაროსაკენ გამისხლტა. ის ცოტა განზედ ჩემს მოშორებით იჯდა და, თურმე, მე შემომცქეროდა... მარო სრულიად არ გამოცვლილიყო, თუ იმას არ მივაქცევთ ყურადღებას, რომ ეხლა ქალობა უფრო ეტყობოდა. იგივ ცქრიალა, დაუდგრომელი თვალები, იგივ ვნებით აღსავსე გამომხედველობა, იგივ სიმარდე ტანში, მხოლოდ უფრო დასრულებული, უფრო გამონაქვთული-კი. მაგრამ მე ამ ისევ უწინდელმა მარომ უფრო მომხიბლა, ამ მის „უცვლელობამ“ უფრო გამაგიჟა. თითქოს განგებ დღეს კაბაც რომ ისეთი წარმტაცი ეცვა!.. რაღაც ნაზი, სალუქი, ვარდის ფერი, გაფარფაშებული, ცოტა ყელ-ამოჭრილიც მისი ტანისამოსი იმის მომხიბლავობას ერთი ათად და ერთი ასად უფრო ძალს უმატებდა, უფრო სხივსა ჰფენდა...

არც სადილობამდის და არც სადილზედ შესანიშნავი არა მომხდარა-რა. სადილმა ჩვეულებრივად ჩაიარა, რადგან სასიძო არ იყო მოსული,—საღამომდის არ ელოდნენ— და ისე-კი ჩვენ არავის განსაკუთრებითი მხიარულება არ გამოგვიჩენია. თუმც, რასაკვირველია, ყველას სახეზედ კმაყოფილების ღიმილი იხატებოდა; მაროს მამა სადილზედ ოხუნჯობასაც კი სცდილობდა, მაგრამ ყველას ამას ჩვეულებრივი ფერი ედო და ამიტომაც არაფრით არ განსხვავებულა, მაროს ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. ყველაზე მეტს ისევ ის მხიარულობდა, სცდილობდა ყველანი გავერთეთ, ერთის სიტყვით, თავისს მოვალეობას ღირსეულად ასრულებდა... გათავდა სადილიც და ყველანი გარეთ ეზოში გავიშალენით. ახალგაზდები მაინცა-და-მაინც ბევრნი არ ვიყავით, ასე რომ უმეტესობა სახლში დარჩა და მერე, აღარ მახსოვს, ვინ ჩაგვაგონა, შეიძლება მაროც იყო, მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ მაროს მამის ნაქებ ბაღში გადავედით. ბაღი მართლა იმ ახლო-მახლოს ესე ევროპიულად მოწყობილი ბევრს არავის ჰქონდა, ბევრს-კი არა, ცოტასაც, მგონი, და ამიტომაც განთქმული იყო იგი. მშვენიერი ხეივნები, აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი ხეხილი, შესანიშნავი, უცხო მცენარეები, მოკირწყლული, ლამაზად ნაკეთები გზები და ბაღის ერთის მხრით ბჭის კარისაკენ კარგა მოზრდილი ღელე ზედ მოწყობილის წისქვილით, საცეხველითა და პაწია სათევზითაც, მართლაც ამართლებდა მისს განთქმულობას. ისე მოხდა, რომ მე და მარო ერთად მოვხვდით, სხვა ყმაწვილები ზოგი უკან ჩამოგვრჩა, ზოგმა განზეც გაუხვია. ჩვენ დავწინაურდით, მაგრამ ხმა ერთი მეორისათვის კიდევ არ გაგვეცა. მარო თითქო ცოტა წინ მინარნაროზდა. ბოლოს გადიხარა ბუჩქისაკენ, ლამაზად გაფურჩქვნილი, სისხლივით ვარდი მოწყვიტა, მარდად მობრუნდა ჩემკენ და შემომთავაზა. ჩვენი თვალები ერთი მეორეს შეხვდა... მე ბევრი რამ ამოვიკითხე ამ თვალებში... მაროს კვლავ ვუყვარდი, კვლავ ჩემი ტრფიალი იყო. ან იქნება მისი თვალები მატყუებდა! მაგრამ არა, ეგ თვალები ვერ იცრუებენ... მე რაღაცასი შემრცხვა და თავი დავღუნე, ვარდი-კი გამოვართვი. მარო ცოტა ხანს ისე იდგა და მერე წად-

*) იხ. „ივერია“ № 120.

ლისის საგუბერნიო სამმართველოს უწყებაში გადავა და მხოლოდ მისს ზედამხედველობისა ქვეშე იქმნება. ამისათვის 1898 წ. 1-ლ იანვრიდგან ხსენებულს გამგეობას ტფილისის სახაზინო პალატის მეთვალყურეობა სრულიად აეხსნება.

*** ამ ჟამად ქალაქის გამგეობა შეუდგა წინა წლების ძველის გადასახადის შეკრებას სახლის პატრონებისაგან. გუშინ წინ, 18 ივნისს, ტფილისის პოლიცმეისტერს გამგეობამ გაუგზავნა სია იმ სახლის პატრონთა, რომლებზედაც გადასახადია დარჩენილი. ერთი ასეთი სია წინადაც ჰქონდა გაგზავნილი. სულ 95 სახლის პატრონი არის ამ სიებში მოხსენებული, რომლებზედაც 35,000 მანეთია დარჩენილი.

*** აბრეშუმის მწარმოებელს ტფილისში ბ-ნს სოკოლოვს ეთხოვნია სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო მამულების მინისტრის რწმუნებულისთვის კავკასიაში, დამინიშნეთ წელიწადში 300 მანეთი, რომ კავკასიის იმ ადგილების, სადაც აბრეშუმის მოყვანას მისდევენ, ყოველ წლივ სამ გლეხ კაცის შვილს აბრეშუმის კეთების საქმე შევასწავლოო.

*** ჩაქვსა და კაპრებუმში ამ დღეებში 28 ჩინელი ჩამოსულა, რომელთაც 700 ფუთი ჩაის თესლი ჩამოუტანიათ. ხსენებული ჩინელები პაპოვის მამულში იმუშავებენ. ამათთან ერთად ჩამოსულა ჩინეთში ცნობილი ჩაის მომყვანი ჩონ-ჩაუ-ლაუ, რომლის ხელმძღვანელობითაც თურმე შეუდგებიან ჩაის მოყვანას.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის 1896 წ. ანგარიშში მოხსენებულია, თუ ამ უკანასკნელის სახალხო აღწერით ტფილისში რამდენი მცხოვრები ყოფილა. 1896 წ. დამლევს ტფილისში ირიცხება სულ 160,645 სული ადამიანი ორთავე სქესისა, ამათგან მამაკაცი—96,187, ხოლო დედაკაცი—64,549. ეროვნობით ასე განიყოფებიან: რუსი ყოფილა 18,588 მამაკ., ხოლო დედაკაცი 10,582; ქართველი—24,448 მამაკაცი და 17,246 დედაკაცი; ოსი—1,271 მამაკაცი, ხოლო დედაკაცი—782; ბერძენი—606 მამაკაცი და 265 დედაკაცი; პოლონელი—1,686 მამაკაცი და 1,028 დედაკაცი; გერმანელი—1,388 მამაკაცი და 1,052 დედაკაცი; სომეხი—34,545 მამაკაცი და 26,523 დედაკაცი; თათარი—2,121 მამაკაცი და 1,287 დედაკაცი; ქურდები—181 მამაკაცი და 71 დედაკაცი; აისორი—1,712 მამაკაცი და 506 დედაკაცი; ჩაჩანი—385 მამაკაცი და 175 დედაკაცი; სპარსელი—4,421 მამაკაცი და 1,649 დედაკაცი; ებრაელი—1,613 მამაკაცი და 1,397 დედაკაცი და სხვა-და-სხვა ერობის წარმომადგენელი—4,071 მამაკაცი და 1,986 დედაკაცი, შთამომავლობით აზნაური ყოფილა 4,650 მამაკაცი და 3,186 დედაკაცი, პირადი აზნაური 3,751 მამაკაცი და 2,186 დედაკაცი, ვაჭარი—2,078 მამაკაცი და 1,458 დედაკაცი, მოქალაქე—7,014 მამაკაცი და 5,531 დედაკაცი; ქალაქის მკვიდრი—37,881 მამაკაცი და 31,636 დედაკაცი და სხ. სარწმუნოებით ქალაქის მცხოვრებნი გაიყოფებიან: მართლმადიდებელი—72,270, მწამებელი—2,748, კათოლიკეთა სარწმუნოებისა—2,322, პროტესტანტი—2,440, სომეხ-კათოლიკე—7,947, სომეხ-გრიგორიანი—52,958, ებრაელი—3,040, სუნიტი—4,356, შიიტი—5,122 და სხვა სარწმუნოებისა—7,442.

*** ტფილისის პირველი ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორად, ი. მ. ყორღანოვის მაგიერ, რომელმაც ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება, ინიშნება ოზურგეთის მაზრის გადასახადთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ზირე. („ტფ. ფურც.“)

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ სიტყვით ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების გამგეს თანამდებობაზე გადმოყვანილ იქმნება ერევნის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე ბ-ნი ბეკი.

*** სადგ. ყარაიაზი. 18 ივნისს, რკინის გზის მე-314 და 315 ვერსის პირდაპირ, მდინარე მტკვრის ერთს კუნძულზედ დამრჩვალის კაცის გვამი იპოვნეს. დამრჩვალი საშუალო ტანისაა, შავ-თმიანი. ვინაობა დამრჩვალისა ჯერ არ აღმოჩენილა.

*** ახალი ქართული წიგნი „გლეხი კაცის ისტორია“, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად, უფრო იაფ ფასიან ქაღალდზედაც არის დაბეჭდილი და ღირს 60 კ. ჩვენ-კი მოხსენებული გვქონდა, რომ წიგნი 75 კ. ღირსო.

### შეცდომის გასწორება

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სამურძაყანოს წერილში შეცდომით იყო ნათქვამი, რომ თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძემ 20,000 მან. შესწირა სამურძაყანოელებს ბანკის დასაარსებლადაო. ეს ფული შეუწირავს თავ. ნიკოლოოზ ზურაბის ძეს-კი არა, თავ. დავით სულხანის ძეს ჭავჭავაძეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ფშავის ხევიდგან** (თიანეთის მაზრა). ფშავის ხეობაზედ, როგორც მთის ადგილს, ადრიანად იწყება ზამთარი, ხშირად ენკენისთვეშივე გვეწვევა ხოლმე ჩვეულებრივი სტუმარი და მაღალს მთებზე როგორიც უნდა კარგი ამინდი დაუდგეს, აღარ აიღებს თოვლს. იქიდგან მოულოდნელი. ნელ-ნელა გიორგობის თვის პირველს რიცხვებისათვის ხომ დიდ თოვლს დასდებს ფშავის ბარშიაც. იშვიათი მოვლენა იქმნება, ზამთარ-გაზაფხულმა გაიაროს ისე მშვიდობიანად, რომ რამდენიმე სული ადამიანი არ იმსხვერპლოს თოვლის ზვავმა და წყალდიდობამ. ჩვეულებისამებრ არც ამ წლის ზამთარს დააკლდა მსხვერპლის მოთხოვნა და თოვლის ზვავმა ფშაველებს გამოჰგლიჯა ხელიდგან ერთი საუკეთესო პატიოსანი, ღვთისა და სტუმართმოყვარე კ'ცი სახელდობრ შიო წოწურაული და არაგუმა—ერთი დედაკაცი, ორივეს წვრილი შვილები დარჩათ, არაგვმა მეორე მსხვერპლიც მოინდომა ს. შუაფხოში, მაგრამ იმ სოფლის დიაკვანი დავით დეკანოზიშვილი გადაეშველა არაგვში 15 საჟ. მანძილზედ დაჰქონდა 11 წლის ქალს და გამოსტაცა წყალს მსხვერპლი.

აპრილის თვე დასრულდა და დედამიწას გამწვანება არ შესტყობია, მაისის პირველმა როგორც იყო მოიყოლა წვიმები და 12 რიცხვმა თოვლიც გაუსტუმრა ახლო-მახლო მთებზედ და შემდეგ დიდი წვიმები მოიყოლა. არაგვი ის სათავიდგან და სხვა ღრმა ხევებიდგან დაიტაცა თოვლის ზვავები და სულ გაანადგურა ხიდები და ჯებირები. 15 მაისს შუაფხოს სამრევლოს სამრევლოს ორსართულიანი ქვითკირის სახლი სადაც მდგომარეობაში ჩაიგდო თავისის ბაღჩითა და სათიბით, სათიბი ქვა-ღორღით აავსო და ბაღჩა-კი სულ მიწით აავსო. სამრევლო სახლი ხელ-ახლებით უნდა გაუძღეს, რადგანაც ერთის საუკუნის მანძილზედ წყლის მოწოლით მოიგლიჯა დანარჩენი მიწა და პირდაპირ სახლს ეცემა შეუჩერებელი არაგვი.

ამითი არ დასრულდა ფშაველების მწუხარება, უხიდობისა გამო შირაქიდგან მომავალი ცხვარი მთებიდგან მოადგა ზემო არაგვს და საცოდაობა დატრიალდა. გაღმით საძოვარი არ ებადა და ადიდებულს არაგვს ვერსაით დაეხწია ცხვარი, რომელზედაც დამოკიდებულია ფშაველის ცხოვრება. დედა-მიწა იმდენად მწირია, რომ ბევრს სამი ოთხის თვის საყოფი პური არ მოსდის ხოლმე და ეს გაზაფხული ხომ უფრო უპურობას დაექადა ხალხს, რადგანაც მომეტებულს გაღმით აქვთ სახნავ-სათესი და უხიდობისა გამო, ვერა მოახერხეს რა. ამისთანა სამწუხარო გარემოებამ იძულებულ ჰყო ახალი მამასახლისი შუაფხოს საზოგადოებისა ს. ჩიტოშვილი, რომ შორის მთებიდგან (ხევსურეთიდგან) მოეყარა თავი საზოგადოებისათვის და გაეყვანა გზებისა და ხიდების გასაკეთებლად, მაგრამ საბრალო ხალხი იქამდის შეწუხდა, რომ წლის გადმა-გამოღმიდგან ერთმანეთს რომ ვერას აგონებდნენ, როგორ გაკეთებინათ ხიდები, დაწერილს ქაღალდს ქვაზედ მაგრავდნენ და ისროდნენ გაღმა-გამოღმით. რის წყალობით, როგორც იყო, შეასრულეს ხიდებისა და გზების კეთება. ასეთი თავდადებული მამასახლისი რომ არ შესწრებოდა ხალხს, პირუტყვი შიმშილით გაწყდებოდა, ხალხი უხნელ-უთესელნი დარჩებოდნენ და სხვა უბედურებას გადარჩენილთ შიმშილი იმსხვერპლებდა.

ზემო არაგვისპირელი

## რუსეთი

საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში საკონკურსო ეგზამენები ამ წელს 15 ენკენისთვეს დაიწყება.

— როგორც ხმა ისმის, სამოსწავლო ოლქების ზოგიერთს მზრუნველებს სასურველად უცვნიათ, რომ სასწავლებლებთან შტატის ადგილები იქმნას გახსნილი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში განზრახვა თურმე აქვთ, ტომსკის უნივერსიტეტთან საბაქტერიოლოგო სადგური დაარსონ ციმბირის ჭირის აკრის კულტურისა და ხსენებულ ჭირთან ბრძოლის საშუალებათა გასაუმჯობესებლად.

— გზათა მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ რკინის გზათა ტელეგრაფის წარმომადგენელთა მე-IV კრება ქალაქ ოდესაში მოხდეს 1897 წ. 1-ლ სექტემბერს. ამ კრებას „რკინის გზის ელექტრო-ტეხნიკოსთა მე-IV კრების“ სახელი ეწოდება, რადგანაც აზრად ექნება განიხილოს, რამდენად დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან რკინის გზებზედ ელექტრონის ხმარებას. კრებას 40 სხვა-და-სხვა საგანი ექნება განსახილველი.

— 1891 წლიდგან რამდენჯერმე იყო აღძრული საგანი იმის შესახებ, რომ სახაზინო ოპერაციების დროს კანტროლი ყოფილიყო დაწესებული, მაგრამ დღემდის ეს საგანი არ იქმნა

---

გა ნაბიჯი წინ.

— ნუ თუ, ვაჟბატონო, სრულებით აღარ გახსოვართ? განა ისე დაგავიწყდით?—მოისმა მაროს ხმა და ამ ხმაში ზრდილობიანი, მაგრამ ყვედრებითი კილო იყო დაყოლილი.

— მე არა ვცდილვარ დამვიწყებოდით,—მხოლოდ ეს შევიძელ მეთქვა პასუხად.

— გეტყობათ, ბატონო, ზედვე გეტყობათ, მაგრამ ვითომ რისთვის? ისეთი რა შეგცოდეთ, რომ თქვენს გულში ჩემთვის ბინა მოგესპოთ?..

ამ კილომ, მორიდებულმა და თანვე რაღაც დამცინველმა, ცოტა არ იყოს შემარცხვინა. შემარცხვინა და დამაფიქრა. პასუხი რა უნდა მეთქვა, მე თითონ არ ვიცოდი.

— არა, ვერ მოიქეცით მართებულად. რათ მიიყვანეთ იმ ზომამდის საქმე, რომ აი ეხლა, ვხედავ, გნებავთ პასუხი მიბრძანოთ და ვერ მოგიხერხებიათ, რადგან ჰგრძნობთ, რომ მტყუანი ხართ... დიაღ, თითონ თქვენვე აიცილეთ თავიდან ის ბედნიერება, რომელსაც უწინ ეგრე მიეხარებოდით, მაგრამ ეხლა-კი ვგრძნობ, რომ თქვენთვის არ იყო ეგ ბედნიერება, რადგან მხარი აუქციეთ. ვგრძნობ, რომ მაშინაც, არ ვიხდი ბოდიშს, მეცრუებოდით და... მაგრამ ეჰ, კაცები სულ ყველა ერთის ჯურისანი ხართ... ეგრე იცით ხოლმე... ეხლა-კი გვიანღაა... აქ მძიმე ოხვრა გულიდგან ამოსკდა მაროს.

სრულიად დავიკარგე. გული მომიკვდა. ჩემ წინ მდგომარე ახალგაზდა ქალის სიტყვებმა, რომელსაც ეტყობოდა, თუმცა პირ-აქეთ მე მახვევდა თავზე მონანებას,—ძალიან ენანებოდა ჩემი დაშორება, გული დამითუთქა, შემარცხვინა და ძალა უნებურად წარმოვიდგინე: ვაჰ, რა უბრალოდ ჩავდგი ფეხი ახალ-გაზდა ქალის ცოდვაში-მეთქი. ეტყობა, ეგ სხვის ხელში უბედური იქმნება, რადგან ქმარი არ ეყვარება და ჩვენ-კი, ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერი ვიქმნებოდით-მეთქი. თავში აზრები ამერია და აღელვებულმა მივმართე მაროს:

— მარო, შენ მეტად სასტიკად სჯი... განგებ არაფერი არ ამიცილებია თავიდგან, არაფრისთვის არ ამივლია მხარი... ეგ სულ დროთა ვითარებამ მოახდინა და მერე მეც რომ ჩავუკვირდი საქმეს, ვიცანი, რომ შენი ღირსი არ ვიყავ და შენ სხვას უკეთესს მოსძებნიდი.

— რაო? შენი ღირსი არ ვიყავიო? ვინა, თქვენ?... ხა, ხა, ხა!—აბა, რას ამბობთ, პირ-იქით, იქნება მე არ შეგეფერებოდით ერთ დროს, თორემ თქვენ ხომ ჩემთვის პირდაპირ იდეალი იყავით... მაგრამ ეჰ, რად ვამბობ!.. თქვენ ეგეები რად გინდათ!.. კაცებს ქვის გული გაქვთ და ჩვენ აბა რას მიგვიხვდებით... ღირსი!?.. ჰა...ჰა!.. მე თქვენისთანა ღირსს თავის დღეში ვერ შევხვდები... თქვენ-კი ამას ვერა ჰგრძნობთ...—ეს უკანასკნელი სიტყვები თითქოს წაიჩურჩულაო მარომ და ბუჩქისაკენ მიბრუნდა.

მე მთლად ავენთე. სრულიად დამავიწყდა, მაროს სიყვარულის გარდა, ყველაფერი. მისი ნიშნობაც, მისი საქმროც, ადგილიც თუ სად ვიყავი, სიფრთხილეც, თავის შეკავებაც და ერთბაშად წამოვიძახე:

— მარო, კვლავ მიყვარხარ, კვლა... მაგას ნუ ამბობ, რომ მე ვერ ვგრძნობ... მარო მობრუნდა, მაგრამ რა იყო მისი სახე?—ცალიერი ვნება ანთებული..

განმეორდა სურათი ზამთრის სუსხიანის ღამისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა უფრო დიდ-ხანს ვიყავით გადახვეულნი. მაროს წამოსცდა ეს სიტყვები:

— ეხლა-კი ჩემი ხარ, ჩემი საუკუნოდ...

აქ გონებას მოვეგე... რას ჩავდიოდი? ანგარიშს-კი ვაძლევდი ჩემს თავს... კაცს, გამოწყობილს საქორწილოდ, ვართმევდი საცოლოს, ხელიდგან ვაცდილი... შემეზიზღა ჩემი თავი, შემეზიზღა მაროც... მაგრამ იქვე გაჩნდა სხვა აზრიც: ბიჭო მაროს თუ არ უყვარს, თუ-კი მე ვუყვარვარ სულით, გულით და დღესაც იძიტომ დავუბარებივარ, რომ დააღწიოს თავისი თავი იმ უბედურებას, რომელსაც უთუოდ ძალათ თავზედ ახვევენ? მაშ რად არის ამით მარო საზიზღარი... და მეც... თუ-კი აღმოჩნდა, რომ მარო კვლავ მიყვარს უფრო გულით, აქ რა არის იმ გვარი საქციელი, რომ მეც შესაზიზღებელი ვიყო?!..არა, ორივენი მართალნი ვართ და ამ საქმეს სხვაფერ მოგვარება უნდა!..

თითქო მიმიხვდაო მარო ამდენს ჩემს ორჭოფობას, გამომარკვია, ხელი მხრიდგან ჩამოილო და მითხრა:

— მაშ, რაკი ასეა, გასწი მამაჩემთან და უთხარი ყოველივე, მე შენ მოგყვები, საყოყმანო აქ არა არის-რა. ნუ ვიგვიანებთ-კი, თორემ საცაა მოვა ისიც.

ამ სიტყვებთან ერთად ცხენების თქარა-თქური შემოგვესმა. ჩვენ უკვე წისქვილის ახლო მივსულვიყავით და იქიდგან ხეებში მშვენივრად გამოჩანდა მომავალი გზა და მოგზაურები, რომელთ შორის მარომ თავისი საქმროც იცნო და მიმითითა. ის ამაყად, ისარივით იჯდა მშვენიერს ბედაურზედ ჩერქეზულად გამოწყობილი და კმაყოფილის სახით ცხვირსახოცს იქნევდა სახლისაკენ, სადაც უთუოდ მარო ეგულებოდა. იმ ნაირ ალაგას ვიდექით, რომ შეგვეძლო გზაზედ მომავალი ყველა კარგად გაგვერჩია და ისინი-კი ჩვენ ვერ დაგვინახავდნენ, ასე რომ, მეც, საკვირველი არაა, თუ სასიძოს დავაკვირდი. ო, რა ბედნიერება იხატებოდა მის მართლადაც ვაჟკაცურ სახეზედ! რა ტკბილი მოლოდინი, რა რწმენა, რომ იმას ამ სახლში დახვდება მისი მოყვარული არსება, რომელსაც იმაზედ უკეთესი არავინ არა ჰყავს. რა თამამად, გაბედვით მოჰყავდა ცხენი, როგორ ეტყობოდა, რომ არაფრის ეჭვი არა ჰქონდა, მაშინვე თავში გამიელვა, რამდენად სასხლეტს ნიადაგზედ მქონდა ფეხი დადგმული და მეგონა, თვალთ ამეხილა-მეთქი... გამომეხატა თვალწინ, რომ სრულიად ადვილად შესაძლებელია სწორედ ამავე ადგილას მარო და ეგ ყმაწვილი ერთ მშვენიერ დღეს ამნაირადვე, როგორც ეხლა მე და ეს, ერთმანერთს გვერდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყნარებული და უყურადღებოდ იყო დატოვებული. ახლა-კი, რადგანაც სახელმწიფო რკინის გზათა გაყვანის დროს ასეთს კანტროლს კარგი ნაყოფი მოუტანია, განზრახვა აქვთ ყოველ გვარ სახაზინო ოპერაციისათვის კანტროლი დააწესონ. ამ საგნის შესახებ უკვე შეუმუშავებიათ უმთავრესი მოსაზრებანი და მალე სხვა-და-სხვა უწყებას გაუგზავნიან, რომ ამათ თავიანთი აზრი წარადგინონ, სადაც ჯერ არს.

— სახელმწიფო საბჭომ ახალი კანონი გამოსცა იმის შესახებ, თუ რამდენი საათი უნდა იმუშავონ დღეში ქარხნებში მოსამსახურე მუშა კაცებმა. ეს კანონი შემოღებულ იქმნება 1898 წლის 1 იავრიდგან, ხოლო ამ დრომდის მინისტრებს ნება ეძლევათ ზოგიერთა ადგილებში შემოიღონ იგი. დღისით მომუშავეთ დღეღამეში $11^1/_2$ საათზე მეტი არ უნდა იმუშაონ, უქმეების წინა დღეებში და შაბათობით-კი 10 საათზე მეტი, ხოლო ღამე მომუშავეთ 10 საათი.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ II-ს თავისი აზრი წარმოუთქვამს თესალიის შესახებ ერთ უმაღლეს წოდების კაცთან ლაპარაკის დროს, რომელსაც ეს ნალაპარაკევი „Times“-ის კორესპონდენტის ბლოვიცისთვის გადაუცია: „საბერძნეთს თესალია ევროპამ ჩააბარა და, რადგანაც ევროპა ჯერ არ დამარცხებულა, უთქვამს თურმე იმპერატორს, შეუძლებელია ოსმალეთმა ბერლინის კონგრესის დადგენილება დაარღვიოს და თესალია თავის სახელმწიფოს შეუერთოს. თქვენ უთუოდ არა ერთხელ გაგიგონიათ, რომ ოსმალეთი წინაალმდეგი იქმნება და თავის ჯარს თესალიიდგან არ გამოიყვანს, მაგრამ ამაზედ შემდეგს მოგახსენებთ: 1878 წელს რუსეთი გაცილებით ოფრო ძლიერი იყო, ვიდრე ეხლა ოსმალეთია და კონსტანტინეპოლიც ხელში ეჭირა, მაგრამ ევროპამ, მარტო დიპლომატიურის მოლაპარაკებით, ხელი აალებინა როგორც კონსტანტინეპოლზედ, აგრეთვე ბალკანეთის სხვა ადგილებზედ. თუ მაშინ რუსეთმა დაუთმო ევროპას, მით უმეტეს ოსმალეთი ეხლა წინაალმდეგობას ვერ გაუწევს. გარდა ამისა, აბდულ-ჰამიდი გამოცდილი პოლიტიკოსია და ევროპას არაოდეს არ აუხირდება. ის დარწმუნებულია, რომ ევროპა არ დაუთმობს თესალიას და ამიტომ მეტს ლაპარაკს აღარ გააბამს ამ საგნის შესახებ. რასაკვირველია, ისიც კარგად იცის, რომ არც რუსეთი და არც გერმანია მხარს არ დაუჭერენ თესალიისს აქმეში და, მაშასადამე, ყოველივე იმედი ამაო იქმნება. აბდულ-ჰამიდი სხვა პოლიტიკას ადგია და სულ სხვა რამა აქვს მხედველობაში. იმას უნდა, ევროპის სახელმწიფოთა შორის უთანხმობა დაბადოს და ბოლო მოუღოს ეგრედ წოდებულ „კონცერტს“. მართლაც თუ ოსმალეთმა თავის მიზანს მიაღწია და, მაგალითად, რუსეთმა მხარი დაუჭირა ოსმალეთს, საფრანგეთი, მიუხედავად იმისა, რომ მეგობარია რუსეთისა, იმას არ მიემხრობა და თესალიას არას გზით არ დაანებებს ოსმალეთს. ამ შემთხვევაში ევროპის კონცერტი დაირღვევა და სულთანს შეუძლიან თავისი სურვილი განახორციელოს. მაგრამ, საბედნიეროდ, სახელმწიფონი თანხმად მოქმედობენ და, მაშასადამე, სულთანის იმედები არასოდეს არ აღსრულდებიან. თესალიის საქმეში ოსმალეთს მხარს არავინ დაუჭერს“.

შემდეგ ლაპარაკი გერმანიასა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულებაზედ ჩამოვარდნილა.

„მე არ მესმის, სთქვა იმპერატორმა, რად ვძულვარ ფრანგებსა და ისე ზიზღით რად მიყურებენ. მე პირადად არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის საფრანგეთის წინაშე და, მაშასადამე, გაუგებარია ჩემდამი სიძულილი. აწინდელის საქმის ვითარების მიზეზი მე არა ვარ, მე მხოლო მემკვიდრეობით გადმომეცა და, არა მგონია, ამაში დამძრახოს ვინმემ. მე ვალდებული ვიყავი მემკვიდრეობა მიმეღო და მტკიცეთ დამეცვა ის, რაც მამა-პაპათ გადმომცეს. მიუხედავად ფრანგების ასეთის სიძულილისა, მე ყოველ მუდამ ვცდილობდი და ვცდილობ კიდეც მათთან დაახლოვებას და ორ სახელმწიფოს შორის მეგობრულ კავშირის დამყარებას, მაგრამ ყოველივე ჩემი იმედი ამაოდ რჩებოდა. ეხლა ის ღა მრჩება, რომ დროსა და გარემოებას უცადო და იმისაგან ველოდო ამ საქმის გამორკვევას..

# დამაკვირდი

ბეჭედი კავშირია ქორწინებისა და იგივეა ჯაჭვი ცოლ-ქმრობისა.

შილლერი

***

შვილი განსხორციელებული სიყვარულია.

ნოვალისი

***

დაიწყება თუ არა დევნა, წამებულნიც მაშინვე გამოჩნდებიან ხოლმე.

ტოლონგეონი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში შემდეგი საყურადღებო ცნობები ამოვიკითხეთ. ჯერ ისევ ძველ დროს ამბობდნენ, რომ სიცილი საუკეთესო მკურნალია ყოველგვარ ავადმყოფობისაო. ამ აზრისა იყო თვით ჰიპოკრატი. მეჩვიდმეტე საუკუნეში ცნობილი მკურნალი პატენი ზოგიერთ ავადმყოფებს ცირკში ჰგზავნიდა, რომელშიაც თამაშობდა განთქმული კლოუნი ტიბერიო. სასაცილო ის არის, რომ თვით ტიბერიო ნერვების აშლით გახდა ავად და პატენთან მივიდა, მიშველეთ რამეო. პატენმა უპასუხა, ცირკში წადი, იქ ტიმერიოს ნახავ, ბევრს გაიცინებ და მორჩებიო.

ისტორია ამტკიცებს, რომ მართლა ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც კაცი სიცილს მოურჩენია. ერთი ახალგაზდა კაცი მძიმედ იყო დაჭრილი. მკურნალებმა გადასწყვიტეს—ვერ მორჩებაო. ავადმყოფს რაღაც სასაცილო ამბავი უამბეს; ძლიერ გაეცინა, სიცილისა გამო ჭრილობიდგან სისხლი წასქდა და ამან მოარჩინა. ერაზმს როტერდამელს ფილტვები დაუმუწუკდა და ძლიერ ავად იყო. ავადმყოფი ერაზმი წიგნსა კითხულობდა, წააწყდა რაღაც სასაცილო ამბავს და გულიანად გაიხარხარა—მუწუკი გამოერწყო და ამით გადარჩა სიკვდილს.

ამგვარადვე მორჩა ერთი კარდინალი, რომელსაც ყელში მუწუკი გამოსვლოდა. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს და გადასწყვიტეს, უნდა მოკვდესო. კარდინალის მოსამსახურეებმა რომ ეს გაიგეს, რაც-კი ნივთები მოეპოვებოდა კარდინალს, ყველა გაზიდეს. ამას თვალი მოჰკრა მაიმუნმა, ჩაიცვა კარდინალის ტანსაცმელი და თავზედ წოწოლა ქუდი დაიხურა. ამის მნახველს ავადმყოფს ძალა-უნებურად გაეცინა, მუწუკი გამოირწყო და კარდინალი მორჩა.

მაგრამ, თუ სიცილი და სიხარული ავადმყოფს არჩენს, სამაგიეროდ ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ სიხარულს ადაიმანი მოუკლავს. სიხარულისაგან მოკვდა პოლიკარტი, როდესაც ნავსოსის მცხოვრებლებმა მადლობა გამოუცხადეს. დიაგორმა რომ შეიტყო, ოლიმპიის თამაშობაში შენმა სამმა შვილმა გაიმარჯვესო, სიხარულისაგან გარდაიცვალა. ზევკსისმა ერთი ბებერი დედაკაცის სურათი დაჰხატა, მერე თითონვე დააცქერდა. სურათი მეტად სასაცილო იყო. ზევკსისს სიცილი აუტყდა და თან გადაიყოლა. პაპმა ლეო მეათემ რომ გაიგო მილანიდგან ფრანგები განაძევესო, ძლიერ გაეხარდა და სიხარულისაგან უეცრად მოკვდა.

სიცილს მარტო სიხარული არ გამოიწვევს ხოლმე. მეფის ჰენრიხ VIII ცოლი ანნა რომ დასარჩობად წაიყვანეს, ჯალათსა ჰკითხა, კარგად იცი შენი საქმე თუ არაო.—დიაღ, უპასუხა ჯალათმა. დედოფალმა სიცილი დაიწყო და ვიდრე თავს მოჰკვეთდნენ, ვერ შესწყვიტა.

ყველამ კარგად იცის, რომ ღუტუნისაგან ადამიანს ეცინება, მაგრამ თუ დიდხანს უღუტუნეთ, ტანჯვად გადაექცევა.

ბავშვი მეტს იცინის, ვიდრე დიდი ადამიანი. ქალები კიდევ მამაკაცზედ მეტს იცინიან. გაუნათლებელი კაცი კიდევ განათლებულზე მომეტებულს.

დასასრულ გავახსენებთ მკითხველს სახელოვანის მეცნიერის რენანის სიტყვებს: „სიყვარული მოყვასისა ჩვენი სიხარულია და მხოლოდ ასეთი სიხარული აძლევს შნოს ადამიანის სიცოცხლეს. ბედნიერი მხოლოდ ის არის, ვისაც უბედურება არ ეწვევა და ის დღე, რომელსაც ადამიანი სიცილით ათენებს და სიცილითვე აღამებს, ბედნიერ დღეთ უნდა ჩაითვალოს.

***

კიახტის მახლობლად არის ერთი ქალაქი მაიმაჩინი. ეს ქალაქი იმით არის შესანიშნავი, რომ იქ არც ერთი ქალი არა სცხოვრობს. საზოგადოდ, ჩინეთში კანონით აკრძალული აქვთ ქალებს საზღვარზედ მდებარე ქალაქებში ცხოვრება.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“, დ. კუდრიავცკისა, თარ. ის. კეცარიძისა. „ახალი მკითხველის“ № 1 გამოცემა.

(დასასრული *)

ავტორი გადაჭრით არას ამბობს, ადამიანები სულ პირველში ხორციულით იკვებებოდნენ თუ მცენარეულობით? მე-40 გვერდზედ ამბობს: თქმა არ „უნდა, რომ ყველგან ერთნაირი წეს-რიგი არ იქნებოდა. იმ ადგილებში, საცა ბლომად იყო მცენარეული საჭმელი, ადამიანმა ხელი მიჰყო პირველად ხორბლეულ და სხვა მცენარეთა მოყვანას; ხოლო საცა მომატებულად ნადირი იყო, იმან იგი ჯერ მოაშინაურა და მერე მცენარეულობის მოყვანაზე გადავიდაო“. აქედგან გადაჭრილი არაფერი სჩანს; უფრო ეს გამოდის, რომ 1) ზოგიერთის ადგილის მცხოვრებთ ჯერ ხორცის ჭამას მიჰყვესო ხელი და 2) ჯერ ნადირი მოაშინაურეს და მერე მცენარეულობის მოყვანაზე გადავიდნენო. ეხლა ეს აზრები კრიტიკის ცხრილში გავატაროთ და ვნახოთ—მართლა ასეა თუ არა? ჩვენის აზრით, სულ პირველოში ადამიანი მცენარეულობით იკვებებოდა. ადამიანს არ შეეძლო იმისთანა ადგილს ეცხოვრა, სადაც მცენარეულობა არ იქნებოდა, რადგანაც იმ გვარ ადგილას ხომ ვერც ნადირი იცხოვრებდა. მაშინდელ დროში ბევრი იყო სხვა-და-სხვა მცენარე ხილეულობა და თითქმის ზამთარშიაც არ ილეოდა, რადგანაც დამტკიცებულია, რომ უწინ უფრო თბილოდა, ვიდრე ეხლა, მაშასადამე სიცივე მაგდენად ვერ გამოჰლევდა. გარდა ამისა პირველში ადამიანს გონება იმდენად არ უჭრიდა, რომ რიგიანი ნადირობა შესძლებოდა. მისთვის მცენარეულო-

*) იხ. „ივერია“, № 120.

---

ში უდგნენ და ეფიცებოდნენ სიყვარულს, სწორედ ამ გვარადვე ალერსობდნენ, ეფერებოდნენ. წარმომიდგა ეს და შევკრთი. სასიძოს სახეზედ ცხადად ეტყობოდა მაროსაგან იყო ასე დარწმუნებული და ამიტომაც ეკავა თავი ეგრე კმაყოფილად, ბედნიერად... პირი მოვიბრუნე, აღარ მინდოდა მაროსთვის შემეხედა, მაგრამ იმას ჩემთვის ხელი გაეყარა და ძალათ მიმათრევდა... კვლავ სხვა აზრმა გადამირბინა: რად ვფიქრობ, რომ მარო იმასაც ასე ეფიცებოდა? რად ვეჭვობ, რომ მაროს მარტო მე არ ვუყვარვარ? ნუ თუ მარო თავისს გრძნობებს ეთამაშება და ყველაფერი ფარად უჩნს?.. ფლირტი? ცუნდრუკა სიყვარული? მაგრამ არა, მარო მაგგვარი ქალი არ არის! ნუ ხარ, ჩემო თავო, ურწმუნო თომა! დაემყარე ერთს აზრს და გჯეროდეს მაროს სიტყვა. შენს ატაცებულს ოცნებას ნუ აჰყვები ხოლმე!.. ჰხედავ როგორ დანდობილი მოდის შენთან, მიჰყავხარ... უნდა, რომ მალე გამოარკვიო ყოველივე, გაათავო საქმე მის მშობლებთან, ყველასთან, რომ საუკუნოდ მისი იქმნე!.. მაშ გაადგი უფრო მტკიცე ნაბიჯი და საქმეც უფრო მტკიცედ მოაგვარე.

გადავწყვიტე ასე და ორივენი ხელგაყრილი ბაღის ბჭის კარს მივადექით. ბჭის კარიდგან რომ გამოვედით, ყველა უკვე აივანთან მოკრებილიყო და სასიძოც ის იყო შემოდიოდა ეზოში, მაგრამ... აქ მოხდა ისეთი უცნაური რამ, როგორიც ხშირად არ ხდება ხოლმე.

სასიძოს თვალი მოხვდა ჩემს თვალს... ო, ღმერთო!... რად არიან ქალები ასეთი ცბიერები?... ვით დაჭრილი, დაკოდილი ლომი, ისე იხედებოდა ეს თვალები. იგი ამჟღავნებდა გააფთრებულს კაცს, რომელსაც მართლა ძვირფასი რამ დაუკარგავს... მისი გამოხედულება ამტკიცებდა, რომ ამ თვალებს გონების კარიდგან დაენახათ საშინელი, შემზარავი სიმართლე და, ამ სიმართლეში გამტკიცებულნი, ეხლა აღსასრულებელს ქცევას ადგა. ეტყობოდა, რომ მათ პატრონს გადაეწყვიტა რაღაც და ამ გადაწყვეტილებას ვერ მოაშლევინებდა ვერა ძალი ქვეყანაზედ. მე ახლა-კი ყველაფერს მივხვდი და წელან ორჭოფობით რომ თვალი ხან გამეღებოდა, ხან ისევ ბნელში ვიყავ, ეხლა მართლაც-და სრულებით თვალთ ამეხილა, მხოლოდ ჩემთვის ეს იყო საკვირველი: ვით გაიგნო გზა ეჭვისაკენ მისმა გულმა, ან თვით ეს გზა მის არსებაში საიდგან მოინახა... ნუთუ მომავალმა ბაღში მოგვკრა თვალი?... მაგრამ არა! აკი ისე კმაყოფილი შემოვიდა ეზოში! მაშ ბჭის კართან შეგვამჩნია ხელგაყრილი და ამან უეცრად სრულიად გამოუცვალა უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი რწმენა?! რატომ არა? არის იმისთანა წუთი კაცის ცხოვრებაში, როდესაც ერთი პაწია რამ სულ თავიდან ბოლომდინ შესცვლის ყოველს რწმენას, ყოველს გამოკვერულს კაცის წესებს და სიყვარული ხომ ისეთი საფრთხილო, ნაზის არსების გვარია, რომ სუბუქი, ნელი ნიავიც აშლის, ზნეს შეუცვლის...

სასიძო ყველას კარგად იცნობდა მაროს ნათესავებს ვაჟსაცა და ქალსაც... მიცნობდა შორიდგან მეც, იცოდა, რომ არ ვიყავი მაროს ნათესავი, შეიძლება ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ მაროს მშობლებს ერთხელ უნდოდათ ჩემი სიძეობა, ან ის, რომ მე და მაროს შორისაც, ძველოდესმე, ჰსუფევდა სხვა მეგობრობა და ეს პაწია ამბავი, შეიძლება, არც მანამდის იყო მისთვის საამო, მაგრამ მაროს მისდამი სიყვარულისა გამო თუ რამ ეჭვის გვარი იყო მის გულში, ეგ ეჭვიც იფანტებოდა და ძალასა ჰკარგავდა. ეხლა კი, როდესაც ისედაც შემჩნეულ კაცს, ბაღიდგან მაროსთან ერთად მომავალს, ხელგაყრილსაც შეჰხედა, არაფერი საკვირველია, თუ ყოველივე ნათლად დაინახა. ამ გვარ პაწია რამეზედ უშველებელ ეჭვის აშენება ხომ საზოგადოდ შეყვარებულთა წესია... არც მე გამკვირვებია ასეთი ცვლილება სასიძოსი, მაგრამ მაინც ცუდს მდგომარეობაში ვიყავი, გამოშტერებულივით, როგორც ღრუბლიან დღეში, როდესაც მეტად მოქურუხნებულია ცა, ელექტრონით სავსე არის ჰაერი, ხშირ-ხშირად ელავს და შენც ელი: ჰა, აგერ დაჰკრავს მეხი, ჰა, აგერ!.. თუმცა ამდენი ხანი არც დამცლია... ყოველივე თვალის დახამხამების უმალ მოხდა... სასიძომ უეცრად ცხენი გაატრიალა და თვალთაგან მიგვეფარა... მხოლოდ მათრახის ერთს გატკაცუნებას-კი მოვკარით თვალიცა და ყურიც... რაღა თქმა უნდა, რომ მაყრიონნიც და თანამხლენიც მასთან ერთად გადიკარგნენ.

უარესი სანახაობა ძნელი წარმოსადგენია... მკითხველიც მიხვდება, თუ რა პირ-ჩალა გამოვლებული მდგომარეობა იყო ყველა იქ მყოფთა; ჩემიც, მაგრამ ჩემი მეორეს მხრივ. მხატვარი რომ ვიყო და მიქელ-ანჯელოს ყალამი მომცა, საუკეთესო დამახასიათებელს ნახატს შევძლვნიდი მხატვრობას, რაგრამ რაკი ჩემს სუსტ ენას აღარც სიტყვით შეუძლიან დაასურათოს ის სახეთა სხვა-და-სხვაობა, ის ელფერი, რაც ჯერ სასახლეს და მერმე მთელს ეზოს დაედო, ამიტომ ყველა ამათი წარმოდგენა ყურადმღებელის ცხად გამომსახველ გონებისათვის მიმინდვია; მე მხოლოდ ისევ ჩემს თავს შევეხები და ვიტყვი, რომ ჩემი ყოფა ყველასას სჯობდა! ჯერ თითქო ცივ-წყალ გადასხმულივით ვიყავი და მერმე-კი რაღამაც დამწვა, თითქოს თორნეში ჩამაგდესო. არ ვიცი-კი რის გამო? მწყინდა სასიძოსაგან მაროს მიტოვება, თუ მაროს ასეთი საქციელი, ასეთი მწარე სიცრუე, ორ-გვარობა?... მწყინდა, მწყინდა საშინლად რაღაც და თავისათვის ანგარიში-კი ვერ მიმეცა...

ქუჯი

(დასასრული იქმნება)

ბა უფრო ადვილი საშოვნელი იყო, ვიდრე ხორცი, და ამიტომ ამ უკანასკნელისთვის იმდენადაც არ გაიცხელებდა თავს, მით უფრო, რომ ჯერ გემო არც-კი ჰქონდა გაღებული... მაგრამ გავიდა დრო, ხალხი გამრავლდა, ბუნება ცოტა შეიცვალა და მცენარეულობის შოვნაც ყოველთვის ადვილი აღარ იყო; ცხოვრება გაჭირდა. ძალა-უნებურად სხვა საშუალებისთვის უნდა მიეყოთ ხელი, რომ სიმშილს არ მოეკლა. დაიწყეს ნადირობა, ხორცეულის ჭამა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხორცსაც ყოველთვის ვერ იშოვნიდნენ. მიჰყვეს ხელი მიწების შემუშავებას, პურეულობის მოყვანას და, რადგანაც გონება თანდათან უვითარდებოდათ, მათს შენახვასაც მიაქციეს ყურადღება. ეს პირველის პასუხი. ახლა მეორეს მივუბრუნდეთ. ჩვენის აზრით ადამიანმა ჯერ მიწის მუშაობას მიჰყო ხელი და შემდეგ პირუტყვის მოშინაურებას და აი, რადა. ჩვენ ცოტა ზევითა ვსთქვით, რომ ადამიანმა პურეულობის მოყვანა დაიწყო. დიაღ, დაიწყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირველში ძლიერ გაუძნელდებოდა, მეტადრე იმ დროინდელ იარაღებით. ამ სიძნელემ საქმისამ იძულებული ჰყო პირუტყვი გაეშინაურებინა, რომ მისის დახმარებით საქმე გაეადვილებინა, და ასეც მოიქცა. იმ დროში ადამიანს ყველაფერი უნდა ეკეთებინა: მიწაც ემუშავებინა და ჯოგებიც ჰყოლოდა. ეხლა, მართალია, იმისთანა ხალხებიც არიან, რომლებიც, როგორც ავტორიც ამბობს (გვ. 40—41), მარტო ერთს დარგს რაიმე ხელობისას ადგიან, მაგრამ მაშინ-კი ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც სახმარებელ საგნების გაცვლა-გამოცვლა ანუ ვაჭრობა არ არსებობდა.

ავტორი გადაჭყვეტით არას ამბობს, რამ გამოიწვია გემების გამოგონება (გვ. 41, 42 და 43). მარტო თევზის ჭერა იმდენად არ გაიტაცებდა. ზღვით მოგზაურობას-კი ავტორი უფრო შედეგადა სთვლის, ვიდრე მიზეზად. ჩვენ-კი ასე გვგონია: ადამიანმა, ვიდრე გემებს გამოიგონებდა, წინადვე დაიწყო გადასახლ-გადმოსახლება საუკეთესო ადგილების საშოვნელად. მაგრამ ადვილად მისახვედრია, რომ მშრალით მოგზაურობა ძლიერ გაუჭირდებოდა. თვით ახლაც-კი, როდესაც მშვენიერი გზატკეცილებია, ათასგვარი სამოგზაურო საშუალებაა გამოგონილი, ხმელეთით მოგზაურობა საძნელოდ მიაჩნიათ და რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც თვით გზებიც-კი არ არსებობდა!.. აი ამ სიძნელემ გამოიწვია ზღვით მოგზაურობა და ამ უკანასკნელს-კი გემები ესაჭიროებოდა.

ავტორს ძლიერ მკრთალადა აქვს მოხსენებული ის გარემოება, თუ რამ აიძულა ადამიანი ტანისამოსი შემოელო (გვ. 44). ავტორის აზრით, მიზეზი სიცივე იყოო; როცა ცივის ქვეყნებისკენ დაიწყეს გადასახლება, მაშინ უფრო საჭირო შეიქმნაო. ჩვენ ტანისამოსის შემოღების მიზეზად მარტო სიცივე არ მიგვაჩნია. პირველ დროის კაცი, როდესაც ცივ ქვეყნისაკენ მიდიოდა, ისევ უკან დაბრუნებას არჩევდა, ვიდრე ტანისამოსისათვის ფიქრს, რადგანაც მისთვის პირველი უფრო ადვილი იყო. ტანისამოსის შემოღება უფრო შემდეგს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც ადამიანი აღარც ისე პირუტყვი იყო. ამ საათშიც არიან იმისთანა ხალხები, რომლებიც ტანისამოსს თითქმის სულ არა ჰხმარობენ, თუმცა კარგად იციან, რომ თბილად იქნებიან. თუ ჰხმარობენ, ისევ სხეულის ერთის ნაწილის დასაფარავად. მაშასადამე, აქ სულ სხვა მიზეზი უნდა ყოფილიყო, როგორც, მაგ. ზნეობრივი და სხ. რამ გამოიწვია სამკაულების შემოღება? საიდგან მიეცა მნიშვნელობა, ან ადამიანის თვალში რად ჰქონდა ფასი?.. ამისას ავტორი სულ არას ამბობს, გარდა იმისა, რომ „შემოიღესო“ (გ. 45)..

სხვა-და სხვა ლითონების პოვნასა და მოხმარების შესახებ ძლიერ ყრუ პასუხს იძლევა, ასე რომ ნამდვილი მიზეზები არა ჩანს (გვ. 46, 47 და 48).

ავტორი ამბობს (გვ. 49), რომ ძველად ჩვენშიც მოდიოდნენ სავაჭროთ ბერძნები, ფინიკიელები და სხ. რომელთაც უცხო ქვეყნების ნაწარმოები შემოჰქონდათ და სანაცვლოდ აბრეშუმი გაჰქონდათო. არ ვიცი „ჩვენში“ რომ ამბობს, რომელს ქვეყანას ჰგულისხმობს? თუ რუსეთს, მაშინ შეცდომა იქნება, რადგანაც აბრეშუმი არა თუ მაშინ, არამედ ახლაც კი არ მოდის, და თუ კავკასიას—მაინც შეცდომა იქნება: იმ დროში აბრეშუმი არც კავკასიაში მოდიოდა. მართალია, ეს იმდენად საყურადღებო არ არის, მაგრამ მაინც ზოგი მკითხველი რაღაც შეცდომაში შეჰყავს.

გვ. 56. თუ როგორ მივიდნენ ადამიანები იმ დასკვნამდე, რომ ნათესავთა შეუღლება მავნებელიაო, ავტორი არას ამბობს. უეჭველია, წინადროის კაცი ამას ერთბაშად ვერ შენიშნავდა. არც თუ შეუღლების მიზეზებს არკვევს. მისის აზრით, ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ საჭირო იყო მათთვის შეერთებული ძალაო. მაგრამ მიზეზი მარტო ძალის შეერთება რომ ყოფილიყო, მაშინ მამა კაცთა ერთობა უფრო დიდს ძალას არ შეადგენდა?.. მაშასადამე აქაც სხვა მიზეზები უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი მაშინდელის ადამიანის ფსიხოლოგიას სრულიად ყურადღებას არ აქცევს...

იქვე. არც თუ ხალხთა მუდმივის მტრობის მიზეზები აქვს რიგიანად გამორკვეული. მიზეზი, რასაკვირველია, ის „არსებობისთვის ბრძოლა“ იყო, რომელიც ზევითაც მოვიხსენიეთ. ყოველს ადამიანს ჰსურდა—და ჰსურს კიდეც, რაც შეიძლება მეტი შეეძინა, ამას-კი ხელს უშლიდა მეზობელთა იგივე სურვილი. ამან გამოიწვია შური და მტრობა, მტრობას მოჰყვა ერთმანეთის თავ-დაცემა, აკლება. ეს ჯერ მახლობელთმ შორის არსებობდა, მაგრამ ჰნახეს, რომ ეს არა ხერხდებოდა, რადგანაც დღეს რომ ერთი იკლებდა მეორეს, ხვალ ახლა ეს მეორე იკლებდა პირველს. ამ გარემოებამ ადამიანი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესი იყო მახლობელნი შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით შორეულთ დასცემოდნენ თავსა. შემდეგში ხომ ასეთს შეერთებას სამეფოების დაარსებაც მოჰყვა...

გვ. 89. რამ გამოიწვია ძველ გვარეულობათა დარღვევა და წვრილ-წვრილის ოჯახების გაჩენა? ავტორი ამას ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევს და ვერც თუ რიგზედ არკვევს, აი, მაგალითად, რას ამბობს: „როცა ხალხთა შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლამ იმატა, მაშინ ამ საქმემაც იწყო გავრცელება ცალ-ცალკე ხალხთა შორისაც. ერთი ადგილის მცხოვრებნი მეორეს უცვლიდნენ თავის ნაწარმოებს და ამნაირად გაჩაღდა შინაგანი ვაჭრობაო. აქედგან, მგონია, მკითხველი ვერას გაიგებს. როგორც ვიცით, როდესაც ჯერ საქონლის გაცვლა-გამოცვლა არ დაწყებულიყო, ხალხთა შორის მუდმივი მტაცებლობა იყო დამყარებული; ყველა სცდილობდა უფრო მეტი ძალა ჰქონოდა და ამისთვის-კი საჭირო იყო დიდი ოჯახობა, შეერთება. მაგრამ გავიდა დრო, მტაცებლობა თანდა-თან შესუსტდა, ამას მოჰყვა საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა; ყოველს ადამიანს შეეძლო სხვათა დაუხმარებლად ვაჭრობისთვის მოეკიდნა ხელი. მაშინ უდიდ ოჯახობოდაც იოლად წავიდოდნენ, მით უფრო, რომ ერთის ბატონობა მთელს ოჯახში, რომელსაც ხშირად ათასამდე სული შეადგენდა, საძძიმოდ შეიქნა: ხშირად სულ უნიჭო უფროსი ოჯახისა ძლიერ სასტიკად, მტარვალად ეპყრობოდა დანარჩენ წევრებს, რომელთა შორის, იქნება, იმაზედ ნიჭიერნიც ერივნენ. აი, ამ მრავალმა გარემოებამ გამოიწვია აზრი თავისუფლებისა, თუ ასე ითქმის, და ამ აზრის შესრულება-კი მხოლოდ წვრილ-წვრილ ოჯახობის შექმნას შეეძლო.

დასასრულ, რომ ძალიან არ გაგრძელდეს ეს წერილი, ერთსაც შევნიშნავთ. ენის სხვა-და-სხვაობის მიზეზი ცოტაც არის უნდა აეხსნა... უამისოდ ხალხმა რას მიაწეროს? ძალა უნებურად ისევ ძველს ზღაპრებს უნდა დაუჯეროს...

ბ. კახელი

---

**შემოწირულება**

ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის მომხდარ ომის დროს დაზარალებულ ბერძენ ოჯახობათა სასარგებლოდ ერთის ქვრივის ქალისაგან მივიღეთ ერთი მან.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ივნისი.

**პეტერბურგი.** ციმბირში ახალი დაწესებულების შემოღების ვადა დანიშნულია ამა 1897 წლ. 2 ივლისისათვის.

**ქაირი.** საკარანტინო სადგურზე ელ-ტორში, სუეზიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 200 მილის სიშორეზე ორი მგზავრი გახდა ავად შავი ჭირით.

**პარიჟი.** იტალიის კრეისერ „ბაუზან“-ზე, აფეთქების გამო, მოკვდა 5 კაცი და ერთიც მძიმედ დაიჭრა.

**ლვოვი.** კალომეის მახლობლად რკინის გზაზე მომხდარ უბედურების დროს მოკლულთა რიცხვიდგან ჯერ-ჯერობით ექვსის კაცის გვამი უპოვნიათ.

**პარიჟი.** პალატამ დანიშნა გამომძიებელი კომისია პანამის საქმის თაობაზე. ამ კომისიის წევრებად ყველა წევრებიდგან იქმნენ არჩეულნი რაოდენობის მიხედვით.

**პარიჟი.** კონსტანტინეპოლიდგან სწერენ „Temps“: ელჩებმა გადასწყვიტეს მიჰმართონ საერთო მიწერილობით ოსმალეთს და სთხოვონ იკისროს მარიამობისთვის გასვლამდე ზრუნველობა იქონიოს მთელს თესალიაზედ.

**კონსტანტინეპოლი.** ჯედში შავი ჭირი კიდევა მძვინვარებს. დღეში სამი კაცი კვდება.

გუშინ ეგეის ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ძალიან დაშავდნენ სალონიკის, ქსანტის და კავალის ოლქები.

19 ივნისი.

**პარიჟი.** გავასის სააგენტო სწერს: მინისტრთა კრების დროს გუშინ პრეზიდენტმა ფორმა სთქვა, ეს არის ეხლა მივიღე წერილი რუსეთის იმპერატორისაგან, რომელიც მწერს, რომ მისს უდიდებულესობას ესიამოვნება, რომ წელს პეტერგოფში წავიდე: პრეზიდენტმა ფორმა განაცხადა, განზრახვა მაქვს აგვისტოს მესამე ან მეოთხე კვირას წავიდეო. ამ მოკლე ხანში პარლამენტს წარუდგინება მოხსენება შესახებ მოგზაურობისათვის საჭირო ფულისა.

**ლონდონი** გაზეთ „Standard“-ის სიტყვით, თევთიქ-ფაშას მიუღია მოწერილობა—დასთანხმდეს დიდ სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას შესახებ თესალიის საზღვრისა და სამხედრო ჯარებისა, რომელიც 4 მილიონს არ აღემატება. რაც შეეხება კაპიტულიაციას, თევთიქ-ფაშას ებრძანა უწინდებურად წინააღმდეგობა გაუწიოს.

**კონსტანტინეპოლი.** რადგანაც ჯედდიდგან მოსულ მგზავრთა შორის ორი ავადმყოფი აღმოაჩნდა შავის ჭირით შეპყრობილი, სანიტართა საბჭომ დაადგინა გადაიყვანოს მეწამულ ზღვის კუნძულზედ გაგზავნილნი მგზავრნი კამარონის ლაზარეთში და ჯედიდგან მოსვლა აუკრძალოს მგზავრებს.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

გაზ. „ივერიის“ მე-109 №-ში დაბეჭდილი იყო „მცირე შენიშვნა“ სარ. ბეჟ. მამალაძეს და გერ. ლაზ. კალანდაძეს, მღვდლის სერაფიონ კალანდაძის შესახებ. აი ამ საქმის ნამდვილი გარემოება. მართალია, შარშან აგვისტოში დ. ხიდისთავში თვით მღ. სერ. კალანდაძის მეთაურობით და ბატონ ფილიმონ ქორიძის ხელმძღვანელობით დავდგით „ციმბირელი“ არა სამკითხველოს სასარგებლოდ, არამედ მეწიეთში წყლის გამოსაყვან არხისა, რომლის შესახებ მღ. კალანდაძეს ხელის-მოწერა აქვს გამართული და იმედოვნებს შეაგროვოს იმდენი თანხა, რომ მახლობელი მდინარედგან ამოიყვანოს წყალი მეწიეთში და დაიხსნას უწყლოობისაგან თვით ეკკლესია და მის ახლო მცხოვრებნი 60 მოსახლემდე. ამ საგნით წარმოვადგინეთ ციმბირელი და რაც ფული შემოვიდა (წმინდა შემოსავალი იყო 18 მან. 70 კაპ., ხოლო ხარჯიანად 27 მ. 60 კაპ. და არა 30 მ. 43 კაპ., როგორც სწერენ შენიშვნის ავტორები), გარდაეცა მღ. კალანდაძეს, რომელმაც მიიწვია ბათუმიდგან ოსტატი და გეგმა შეადგენინა. ამას რასაკვირველია, 18 მან. და 70 კაპ. არა ჰკმაროდა? ამ ამბის სიმართლეს დაგვემოწმება თვით ბ-ნი ფ. ი. ქორიძე და სხვებიც, რომლებიც-კი მონაწილეობას იღებდნენ წარმოდგენის გამართვაში.

ერთი მონაწილეთაგანი *)

*) ჩვენ თითქმის ამ შინაარსისავე წერილი მივიღეთ ბ-ნ ბიკენტი ლომთათიძისაგანაც. რედ.


# განცხადებანი

## ახალი გამოცემანი

**„წერა-კითხვის საზოგადოებისა“**

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური. ვინც ასობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად.

**დედა-ენა**, მეთორმეტე გამოცემა, შესწორებული და შევსებული მრავალი ახალი სურათით, რომლის რიცხვი აღემატება ამ ახალს გამოცემაში სამას სამოც სურათსა. წიგნი წინანდელზედ მეტია სტამბის მთელი თაბახით და შეიცავს 224 გვერდსა. ფასი კი წინანდელია—ორი აბაზი ყდით.

**ბუნების კარი**, მეცხრე გამოცემა, რომელშიაც პირველად არის დასურათებული ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილება ოცდა-ათი ახალი ნახატით. ფასი უწინდელია—90 კაპ. ყდით.

**რვეულები** ქართულის წერისა, „დედა-ენასთან“ სახმარებელი, ფასი ოთხი კაპ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ასობით, მას რვეული დაეთმობა 3³/₄ კაპ.

**სალამური**, ანუ ქართული სახალხო სიმღერები, გადაღებულნი ნოტებზედ ზაქარია ჩხიკვაძის მიერ, ფასი ხუთი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცს ცალსა, აბაზად დაეთმობა.

**ოქროს მოყვარულები** მოთხ. ცშოკესი თარგ. ელენე წერეთლისა ფასი 15 კ.

**მთიულეთი** 1804 წ. ისტორიული ამბავი, ფასი 70 კ.

**ლექსები** ნ. ბარათაშვილისა მეხუთე გამოცემა ფასი 40 კ.

აქვე იყიდება:

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, რომელშიაც აწერილია თექვსმეტი მცველი ჭირნახულისა ოცდახუთი სურათით, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ფასი ერთი აბაზი. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.

**თავდადებულნი ქართველნი**, ანუ ისტორიულნი მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, ფასი 10 კ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნაკი დაეთმობა 8 კაპეიკად. (3—უ—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 19 го Юнія 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.